დანართი #1

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გასამართი დიდი-10, ესპუართა, I და რეგიონალური ლიგის შეჯიბრებებში (2023-2024 სეზონი) მონაწილე კლუბის (გუნდების)

საბაზისო დაფინანსების განაწილების წესი

მუხლი 1

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს რაგბის კავშირის დაფინანსების საფუძველზე, რომლის მიზანია მიღებული საბაზისო დაფინანსებისა კლუბებზე (გუნდებზე) განაწილების წესის განსაზღვრა.

2. 2023-2024 წლის სეზონზე დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე (სულ 10 კლუბი (გუნდი)) თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება განისაზღვროს 850 000 (რვაასორმოცდაათი ათასი) ლარით.

3. 2023-2024 წლის სეზონზე ესპუართა ლიგაში მონაწილეთაგან (არაუმეტეს 10 კლუბისა (გუნდისა)), დიდი 10-ის თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება განისაზღვროს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით.

4. 2023-2024 წლის სეზონზე I ლიგაში მონაწილე (სულ 10 კლუბი (გუნდი)) თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება განისაზღვროს 300 000 (სამასი ათასი) ლარით.

5. 2023-2024 წლის სეზონზე რეგიონალურ ლიგაში მონაწილე თითოეული კლუბის (გუნდის) საბაზისო დაფინანსება განისაზღროს 20 000 (ოცი ათასი) ლარით.

6. წინამდებარე წესით გათვალისწინებული დაფინანსების შესაბამის რაგბის კლუბებზე (გუნდზე) განაწილებას უზრუნველყოფს საქართველოს რაგბის კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების საფუძველზე.

7. საბაზისო დაფინანსების თანხების გაცემის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რაგბის კავშირისა და შესაბამის რაგბის კლუბს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულება.

9. საბაზისო დაფინანსების თანხების გამოყოფა ხდება ორ ტრანშად, შემდეგი წესით:

ლიგა	თანხა (ლარი)	გადახდის ვადა
დიდი 10		
I ტრანში	400 000	30.08.2023 *
II ტრანში	450 000	31.03.2024
დუბლ-შემადგენლობების ლიგაში მონაწილეობის თანხა	40 000	31.03.2024
სულ დაფინანსების მაქსიმალური შესაძლო ოდენობა	**890 000**	
პირველი ლიგა		
I ტრანში	100 000	30.08.2023 *
II ტრანში	200 000	31.03.2024
სულ დაფინანსების ოდენობა	**300 000**	
რეგიონალური ლიგა		
I ტრანში	10 000	30.08.2023 *
II ტრანში	10 000	31.03.2024
სულ დაფინანსების ოდენობა	**20 000**	

*შენიშვნა: * დაფინანსების გამოყოფის ყველა მოთხოვნის შესრულების პირობით*

მუხლი 2.

1. რაგბის კლუბების მიერ საბაზისო დაფინანსების ფარგლებში დასაშვებ ხარჯს წარმოადგენს:

ა) მოთამაშეთა ლიცენზირებისათვის გაწეული ხარჯები;

ბ) სამედიცინო და სადაზღვევო ხარჯები;

გ) საქართველოს რაგბის კავშირის საწევრო გადასახადი;

დ) საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილი საჯარიმო
გადასახადები.

ე) სტადიონის იჯარის ღირებულება;

ვ) სამივლინებო ხარჯები;

ზ) ტრანსპორტის ხარჯები თამაშებზე და შეკრებებზე;

თ) ეკიპირების ხარჯები;

ი) შეკრებების ხარჯები (სასტუმრო, კვება და ა.შ.);

კ) კლუბის (გუნდის) თანამშრომლების ხელფასი/პრემია. (მორაგბეები, მწვრთნელები,
მენეჯერი, სამედიცინო პერსონალი, ბუღალტერი და სხვა.

ლ) კლუბის (გუნდის) სამეურნეო და საოფისე ხარჯები.

მ) კლუბის (გუნდის) სხვა ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იქნება გუნდის მონაწილეობასთან სხვადასხვა ტურნირებში.

ნ) კლუბების (გუნდების) სატრანსფერო თანხა (თანხები), ასევე კლუბებისთვის

(გუნდებისთვის) აუცილებელი სხვა ხარჯები (ვიდეო-აუდიო ტექნიკა, ოფისის ინვენტარით აღჭურვა და ა.შ.)"
ო) რაგბის კავშირის დებულება საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დანართი #3-ით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად (აღნიშნული პუნქტი ეხება მხოლოდ დიდი-10-ს კლუბებს (გუნდებს)).

მუხლი 3.
1. რაგბის კლუბის მიერ საბაზისო დაფინანსების თანხების გამოყენების მიზნობრიობის
მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს რაგბის კავშირი.
2. დიდი-10-ის და I ლიგის კლუბები (გუნდები) ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივნისისა წარმოადგინონ (2023-2024 წ.) საბაზისო დაფინანსების ანგარიშგების აუდიტორული დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრირებული აუდიტორული კომპანიის მიერ (იხილეთ აუდიტორული კომპანიების ნუსხა https://saras.gov.ge).
3. კავშირი იტოვებს უფლებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს რაგბის კავშირის დაფინანსების შეჩერების, შეცვლის ან/და შეწყვეტის შემთხვევაში ცალმხრიდავ შეაჩეროს, შეცვალოს ან/და შეწყვიტოს მხარეთა შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულება.